



# დებიდნერი

№ 35

გამოდის კვირასი სამჯერ

13 მაისი 1944 წ.

## გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

დნესტრის ქვედა დენაჟდმდებარე მართ - ერთი მნიშვნელოვანი ხიდის თავი განადგურებული იქნა

გერმანიაზე თავდასხმის დროს მტარმა 69 თვითფრინავი დაჰკარბა

ფიურერის მთავარი ბანაკი.

11 მაისი.

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

სებასტოპოლის დასავლეთით ჩვენი ერთეულები, რომინელ ჯარებთან ერთად განაგრძობენ მტრის მძაფრი იერიშების მოგერიებას, რომლის დროს საბჭოებმა 20 ტანკი დაჰკარგეს. დნესტრის ქვედა დენაზე ჩვენმა დივიზიებმა, გერმანულ და რუმინულ ავიაციის აქტიური დახმარებით, გაარღვიეს მტრის მდინარის მარჯვენა მხარეზე მდებარე, ერთ - ერთ გამაგრებული ხიდის თავის ხაზები, შეიჭრენ მტრის არტილერიის პოზიციებამდეს და სიმაგრეთა მთელი რაიონი სავსებით გაანადგურეს. ბოლშევიკებმა 500 მეტი ტყვე დაჰკარგეს, აგრეთვე 163 ქვემეხი და ნაღმტყორცნი და სხვა მრავალი სამხედრო მასალა.

გასულ ღამეს დიდი წარმატებით გერმანულ ავიაციის ძლიერ შენაერთებმა დაბომბეს შეპეტოვკას და პროსკუროვის სადგურები. აღმოსავლეთის ფრონტზე განსაკუთრებით დაწინაურდა მაიორ ანტრუპას მეთაურობით თვითმფრინავთა ერთი შენაერთი.

ნეტუნის სიმაგრეთა რაიონში მოგერიებული იქნა მტრის იერიშები. უკანასკნელი დღეების ბრძოლებში განსაკუთრებით დაწინაურდა უნცროსი ლეიტენანტის ტილმანის მეთაურობით მე-8 ბრანდებურგის გრენადერთა პოლკის მე-10 ასეული. კუნძულ ელბის სამხ-

რეთ-აღმოსავლეთით გერმანული სამხედრო ფლოტის ერთეულებმა ჩასძირეს მტრის ერთი ჩქარმავალი კატერი და რამდენიმე ძლიერ დაზიანეს.

გერმანული ავიაციის ძლიერი შენაერთები გასულ ღამეს თავს დაესხნენ კუნძულ ლისაზე მდებარე მტრის გამაგრებულ პუნქტებს. ნავთსადგურის მრავალ ადგილას ცეცხლი გაჩნდა და მისი საწყობები დაზიანდნენ.

გასულ ღამეს მტრის ბომბდამშენთა სუსტი შენაერთი

თავს დაესხა ქ. ბუდაპეშტს. ნეიშტატს მტრის ავიაციის თავდასხმამ მიაყენა მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი. აქ და დასავლეთ ოლქებზე თავდასხმის დროს ჩამოგდებული იქნა მტრის 69 თვითმფრინავი, რომლის უმრავლესობა ოთხმოტორიანია. ინგლისის ცალკეულ თვითმფრინავებმა გასულ ღამეს დაბომბეს სამხრეთ - დასავლეთ გერმანიის დასახლებული ადგილები.

## მონოღება

გაზეთ „საქართველო“-ს 18 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ქართული საკავშირო შტაბის მოწოდება. მოწოდებაში განმარტებულია შტაბის დაარსების ისტორია და მისი მიზნები. აქ მოვიყვანთ ამ მოწოდების მნიშვნელოვან ადგილებს. მისი დაარსებისა და უფლებების შესახებ იქ ნათქვამია:

„გასული წლის 26 ოქტომბერს გერმანიის აღმოსავლეთის სამინისტროს, გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის, საპროპაგანდო განყოფილების აღმოსავლეთის ჯარების გენერლისა და რაიხის უშიშროების მთავარი უწყების თანხმობით დაარსდა ქართული საკავშირო შტაბი, რომელშიაც წევრებად შედიან: ობერლიტენანტი ბივი ბაბლიანი — ქართველ ლეგიონერთა წარმომადგენელი, ბ-ნი მ.ჩ. ალშიბაია,

ბ-ნი მ.ჩ. კედი და ბ-ნი ბიორბი მაღალაშვილი. მთავრობის ბრძანებით საკავშირო შტაბს ეძლევა უფლება როგორც ერთადერთს წარმომადგენლობას ქართველობისას და ზრუნავს, მუშაობს შემდეგ დარგებში: 1. ქართველი ლეგიონერებისა და მუშათა ათასეულების პოლიტიკური აღზრდა, 2. თანამშრომლობა გერმანელებთან გერმანიაში მომუშავე ქართველთა მოვლა - პატრონაჟში, 3. ქართველ ტყვეთათვის სულიერი და მატერიალური მზრუნველობა, 4. პოლიტიკური ხელმძღვანელობა ქართულ ემიგრაციაზე.

მართალია, ქართულ შტაბს ომთან დაკავშირებული მიზეზებისა და სხვა ტექნიკური დაბრკოლებებისა გადალახვა დასჭირდა, მაგრამ მისმა მუშაობამ უკვე გამოიღო მნიშვნე-

ლოვანი შედეგები, რომელსაც მოკლედ ჩამოვთვლით: 1. ყველა ქართველი და მათთან ერთად სხვა კავკასიელები გამოუვან ილი იქნებიან ე. წ. „აღმოსავლეთის მუშების“ („ოსტარბიტერის“) პირობებიდან და იმუშავენენ ისე, როგორც უცხოელი მუშები; 2. ქართული პრესა, რომელიც შესდგება ორი პერიოდული გამოცემისაგან, გაერთიანდა შტაბის ხელმძღვანელობით; 3. ქართველი ჯარისკაცები სიმაშაცისა და საბრძოლო დამსახურებისათვის მიიღებენ ყველა სახის გერმანულ ჯილდოს. ბრძანება უკვე გამოცემულია; 4. ქართველი ჯარისკაცები სავსებით გათანაბრებული არიან გერმანულ ჯარისკაცებთან — ყველანი ატარებენ გერმანულ ფორმას, განმასხვავებელ ნიშნებს; 5. სწარმოებს მუშაობა ქართველი ტყვეების სრული რეგისტრაციისათვის, რომლებიც გაფანტული არიან სხვადასხვა ბანაკებში მათი თანდათანობითი განთავისუფლებისათვის“.

შტაბის მოქმედების მიზნებზედ: „ჩვენს მუშაობას და ბრძოლას ჩვენ ვუძღვით სამშობლოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. ჩვენ ვიბრძვით ქართული ოჯახის, ზნე-ჩვეულებისა და ადამის აღდგენისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის, გლეხკაცობის განთავისუფლებისათვის საკოლმეურნეო მონობისაგან და მათთვის საკუთარი მიწის მინიჭებისათვის, თავისუფალი აზრისა და შემოქმედებისათვის, ქართველი რასის დაცვისა და გაკეთილშობილებისათვის.

ჩვენ ურყევად გვწამს გერმანიისა და ჩვენი გამარჯვება. მთელი ჩვენი ძალღონით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიმუშავებთ და ვიბრძობებთ გერმანიასთან ერთად“.

# ქალის მოტაცება

მთის ანკარა ნაკადულივით ჩამოიბრუნდა ხოლმე დიდი-ლობით მოციმციმე გიული. მასში ორი გრძნობა ერთმანეთს ეჯიბრებოდა, სევდა და სიხარული. ორივე ერთი მეორეზედ ძლიერი. მშვენიერ არსებას ვერ გაერკვია, რომელი გრძნობა ადრე იშვა მის ნაზ სულში. ღხენა თუ კაემანი. მას შემდეგ რაც ყაბარდოში სახელგანთქმული კუნჩუკი გაიხდა ფიქრის საგნად, ძილი გაუფრთხა.

კუნჩუკი ამყობდა, საყაჩაღოდ გამზადებულად, თავით ფეხამდე ჯავშანში ჩამჯდარი, გიულის ნაზ ღიმილს რომ საჩუქრად იძღვნიდა. მისთვის იმ დღეს ბრძოლა ღხენი იყო. ის მტერთა ბანაკში ისე რაინდულად დაჰქროდა როგორც ქორი ვნოლთა ჯოგში. მისი სახელი და დიდება ყველგან ისმოდა. მთაში ამბობდნენ რომ კუნჩუკს მთელი ქვეყანა იცნობს, როგორც მსწრაფლს, მსროლელს, მოელვარეს. რომ მას შეუძლია ეშმაკის კუდზედ შეჯდეს და აზოვის ზღვა გადასცუროს.

გიული ხომ მთვარე იყო ყაბარდოში ვარსკვლავთა შორის. ის ანათებდა მთის ბნელეთს. კუნჩუკი კი მოელვარებდა გიულის გაშუქებულ ცაზედ.

ბედნიერი გულები ვერა გრძნობდნენ დროთა სვლას. შეყრის იმედი უქარებდა ყოველდღიურ სევდას და გატაცებულნი სანეტარო მომავლით გულცივად უმზერდნენ გარეშე ყოველივეს.

ეშმაკს შეშურდა მათი ბედნიერება. ჩააჭრო მთვარე და ვარსკვლავები და მათი გულები წყვიდადის სულარაში გახვია...  
\*\*

აზოვის ფაშა ეახლა ჩერქეზთ ბატონს. ჩერქეზის ასულთა შორის გიულიც შენიშნა.

ფაშა განცვიფრდა გიულის სილამაზით.

— ეისია ეს მშვენიერი, იკითხა ფაშამ.

— კუნჩუკის, მიუგეს.

— რა ღირს, იკითხა ფაშამ. ამ სიტყვებზედ ყველას ხარხარი აუტყდა. თათარი რას გაიგებდა ჩერქეზის ქალის გულს. მან რა იცოდა კუნჩუკის ვაჟკაცობის ძალა. ან მათ ძლიერ სიყვარულს ვით გაცე-

ბდა თათრის ფაშა, ადამიანებით მოვაჭრე, ჰარამხანის სოვდაგარი.

ფაშამ აავსო ქრთამებით ჩერქეზები. გასჭრა ეშმაკის მასემ. ფაშამ იშოვა მოლაღატე. აავსო ოქროებით და აფრინა მისიის შესასრულებლად.  
\*\*

ღამე იყო ჩუმი. მამა მეზობელ თემში იყო წასული და გიული მეტად ფეხიზლობდა. რაღაც წინა გრძნობაც აწუხებდა. მაგრამ ესეც ვერ გაერკვია, სიხარულს უქადადა ის თუ მწუხარებას.

ამ განწყობილებას არღვევს ჩერქეზის ხმა. ჩერქეზი იხმობს გიულის კუნჩუკის სახელით. კუნჩუკი ითხოვს გიულის მოტაცებას. \*) ქალი სთანხმდება.

გიული გაყვება ჩერქეზს. ის კანკალებს სატრფოს შეხვედრის მოლოდინში. ეს ეს არის რომ ის უნდა გადავარდეს უსაზღვრო ნეტარებაში, გაეხვეს კუნჩუკის ნაბადში, მაგრამ მისი გრძნობა სტყუვდება. უდაბურს ტყეში მას ელიან ფაშის კაცები. ათიოდე ცხენოსანი მოეგებება წინ ჩერქეზს. ჩერქეზი გადასცემს მათ გიულის. ცხენოსნები გაჰქრებიან წყვილად ღამეში...  
\*\*

აზოვის ნაპირას აგებულია ფერადი ქვებით დაჩუქურთმებული, არაბული სტილით ნაშენი სასახლე. სასახლეში იშლება თვალუწვდენელი წალკოტი, რომელიც სამი მხრიდან შემორტყმულია ხეივნებითა და მალაღი გაღავნით, ხოლო მეოთხე იხსნება ზღვით, საიდანაც ხელოვნურად გამოყვანილ არხზე დაცურავენ ნავეები. არხი სასახლის ბაღში იშლება რამოდენიმე შტოდ და ბაღს ჰყოფს კუნძულებად, რომელთაც ამშვენებს სასახლის მინიატურები. მინიატურები შემორტყმულია ფერად თევზებით აღსავსე აუზებით, წა-

\*) საქართველოსა და მთაში ქალის მოტაცება ხშირად ორივე მხარეს თანხმობით ხდებოდა. ეს იმ მიზნით რომ ოფიციალური ცერემონიებისათვის ადათით დაწესებული ხარჯები თავიდან აეციდნათ.

ლკოტათ ქცეული ნაპირებით მოვარაყებულნი. სასახლეებში გუნდ გუნდ ფრინველთა გალობანი ატკობენ არე შარეს.

სასახლეში ყოველივე მუსულმანურ გემოვნებაზე იყო მოწყობილი. განცხრომა და დროს ტარებაც ამავე სტილს ემორჩილებოდა.

დიღ - დიღობით იხსნებოდა სასახლის კარები და ტურფად მოსილი ასულები სტკებოდნენ წალკოტის სუნნელოვანებითა და ფრინველთ საამური გალობით. ყველა თითქოს შეჩვეული იყო ჰარამხანის ყოფას და თავთავისებურად იყოლიებდა გულს. მათ შორის იყო ერთი, რომელიც გაინაპირებდა ხოლმე შარტო და პატარა აუზთან თევზების ცქერით ირთობდა თავს. მათში ის ხედავდა თავის ბედს, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ მათ ტყვეობაში მანც არ ელოდათ ხიფათი. ეს იყო გიული, რომელიც მოტაცების პირველი დღიდან მოჰყვა ჰარამხანაში.

გიული დიდ ხანს იტანჯებოდა ფაშის ჰარამხანაში. დღეებს შავად აღამებდა და ღამეებს თეთრად ათენებდა.

ფაშა დრო გამოშვებით ესტუმრებოდა ხოლმე გიულის. უნდოდა როგორმე მოეღობო მშვენიერის გული. მაგრამ ამაოდ. მუდარა არა სჭრიდა და ფაშის ყოველ ნაძალადეგ მოძრაობას გიული ხანჯლით ემუქრებოდა.

ფაშა გულს არ იტეხდა რადგან გიული მისი ტუსალი იყო და ერთ დღეს მაინც დაიმორჩილებდა. ამიტომ არცა სჩქარობდა.

გავიდა დრო და ფაშას გადაეკიდა მოლაღატე ჩერქეზი.

— გუშინ შენ გაჰყიდე შენი ქალბატონი, ხვალ გამყიდი მეო, ეუბნებოდა ფაშა ჩარქეზს.

ჩერქეზმა დაიბუდა შავი გრძნობა გულში. ის გულჩაობრობილი განაჯირობს ფაშის სამსახურს და ფიქრობს შურის ძიებაზე.

ჩერქეზი მოსძებნის კუნჩუკს რომელიც ან დროს გაუკლებული დაჰქროდა ყაბარდოში და აგროვებდა მეგობრებს ფაშის სასახლის ასაკლებად.

კუნჩუკს ეხიზლებოდა მოლა-

ღატე ჩერქეზი, მაგრამ დღეს ეს ერთად - ერთი იმედის ვაზი იყო და მიენდო ჩერქეზის რჩევას.

დაიახლოვა ჩერქეზი. მასთან ერთად ადგენს გეგმას გიულის დახსნისა.

გეგმა აღსრულებას მიეცემა... (დასასრული იქნება)  
ბაბა

## „პროლეტაროლა“

დასასრული \*

მებატონენი ითხოვენ თავიანთ კალმონებისაგან, მხატვრულად ჩამოასხან ახალი ადამიანი პირად მოთხოვნილებათა უარის მყოფელი, დღე და ღამ, რომ ზრუნავს, ფიქრობს, მხოლოდ და მხოლოდ კოლექტივზე, სახელმწიფოზე, მას უნდა სწყუროდეს გმირული საქმის ჩადენა. თუ ვინცობაა სახელმწიფო ვერ აძლევს მას გასაქანს, ის სასოწარკვეთილებაში არ უნდა ვარდებოდეს. ახალი ადამიანი უცხოა, საკუთარ პირად გრძნობებისაგან, მისი „მე“ მომსპარია, მას უნდა ჰქონდეს ერთი სიყვარული, სხვა სიყვარული ბურჟუაზიულ — ეშმაკეულია. ესაა სიყვარული „სოცისლისტურ სამშობლოსი“, ენტუზიაზმით აღსავსე საბჭოთა მოქალაქე მიჰქროლავს, მისთვის ცხოვრების სიძნელენი არ არსებობენ...

მაგრამ ყველაფერი ეს „პროლეტ - მწერლობის“ კალმის წვერზეა, სინამდვილეში ადამიანის პიროვნება მიწასთან გასწორებულია, მისი ცხოვრების პირობები მონურია. თავზე აზის წითელი ბატონი და ბრძანებელი. საბჭოთა თემატიკიდან გამორიცხულია ადამიანის სულის სიღრმეში ჩაწდომა, იქ მისი საქიროების, მისი მდგომარეობის ამოკითხვა. ადამიანმა უნდა აქოს და ადიდოს ის, რაც კეთდება სახელმწიფოს მიერ, ენა მუცელში ჩაიგდოს, სიტყვა არ დასძრას თავის ვაჟივრებაზე. რუსეთის წითელ საბატონოში ასეთია რეალობა. საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში ზედმეტია ლაპარაკი რეალისტურ მიმართულებაზე, ამ უკანასკნელს არ შეუძლია დაშორდეს ადამიანის ბედს, მის მატერიალურ და სულიერ, კულტურულ ვითარების გარემოს. ის პროტესტით გამოდის, რო-

\*) იხ. „ლევიონერი“-ს № 34

ქართველ არწივთა სტუმრობამ პარიზში სიხარულის, აღტაცებისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის უძირო ზღვა აღელვა და ამიტყველა.

აღსაესე მუსიკა, ჰაეროვან ლეკურში, მხულვარე დავლურში, მკვირცხლ მთიულურ ცეკვებში, ყველგან, როგორც ერთი წვეთ წყალში, საქართველოს მთა და ბარია აცეკვებ - ამღერებული.

ქართველ ლეგიონერთა გუნდის გასტროლებმა პარიზში მთელი არსებით სამშობლოსაკენ გაიტაცეს დიდ - ძალი ქართველობა, რომლებიც ათეული წლობით მოწყვეტილი არიან სამშობლო მიწას.

— 23 წელია, ასეთ განცდებს არ აუტანივარ!..

— ასეთი ერი არ შეიძლება დაიღუბოს, წამდაუწყუმ გაისმოდა დარბაზში.

ტრემლებით სავსე თვალებით, აღტაცებისაგან სულ - შეხუთული უსმენდენ, მშობლიურ ალერსით უხვად აჯილდოვებდენ შორეულ სამშობლოდან ახლა - ხან გადმოხვეწილ შევილებს.

მათ მოიტანეს საქართველოს წყაროებისა და ნაკადულების

ჩუხ-ჩუხი, დიდი მთების ომახიანი გამოძახილი, მის კალაპოტზე გიჟურ დავლურში დატრიალებული ქარის ტორნადო, კოლხიდის ზღაპრულ წალკოტში პონტოსის მშფოთარე შხუილი, მათ მოიტანეს და გადაგვიშალეს მომაჯადოვებელი ჰანგებით მოქარგული საქართველოს სურათი.

სიმღერები, შაირები, სასცენო კომიკური ქანრის მცირე ნომრები შესრულებული იქმნა გულდასმით და შესანიშნავი ოსტატობით.


წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს ცეკვებმა, რომელნიც დიდის ტემპერამენტითა და მოხდენილად იქმნენ შესრულებულნი.

ყველაზე მეტი წარმატება წილად ხვდა ლეკურს, იგი შესრულებული იქმნა მსუბუქი და მოხდენილი იერით, განსაკუთრები ქალმა (ასრულებდა ვაჟი - ქართველი ლეგიონერი) მიიპყრო საერთო ყურადღება, მას შესანიშნავად აუთვისებია ცეკვაში ქართული ქალისათვის დამახასიათებელი ყველა წვრილმანებიც კი, საკუთარი ოსტატობით დამზადებულ ტანსაცმელთან ერთად, დამსახურებულ ტაშს იწვევდა მისი მიხვრა - მოხვრა. ახალგაზრდა პარიზელი ქართველი გოგონები ძალზე ჩააფიქრა ამ „ქალწული“-ს ნიქმა.

ახალგაზრდა ქართველმა კომპოზიტორმა ყველა გაახარა საკუთარი „სალამური“-თ, პიანინოზედ, დაატკბო მთელი საზოგადოება, ოპერა „დაისი“-ს შესავლით აკორდიონზე.

გერმანელ ხალხთან გულწრფელი მეგობრობის გამოხატულება იყო ერო პატარა გერმანული სიმღერა, — ქართული ტექსტით, ამ შესანიშნავ ნომერს მთელი აუდიტორია მხურვალედ შეხვდა.

საქართველოდან ახლად გადმოხვეწილი შევილები სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლნი, ახლო და ბედნიერი მოვალის წინამორბედნი, საქართველოს მთებდან მოვარდნილი ნაკადულივით შეიჭრენ ყოველი ქართველის გულში და წარუშლელი ძალით აღბეჭდეს მათში სამშობლოს უკვდავების, მისი გამარჯვების და ბედნიერების დიადი რწმენა.



გუთნის დედას, სალაშქროდ შიმაველ მებრძოლთ გუნდებს, ჭადრის ძირში გაშლილ სუფრას, საქორწილოდ გამზადებულ მამულისათვის დაღუპულ შვილზე დედის გულ ამომჯდარ გოდებას, შეყვარებულთ ღიღინს, ყველგან საქართველოს ყველა კუთხეში, ხალხმა შეუქმნა მომაჯადოვებელი ჰანგებით

ცა ადამიანს ავიწროებენ, მის ღირსებას ფებ - ქვეშ თელავენ, ის საზოგადოების სინდისია, პიროვნების და საზოგადოებრივი მორალისა და სისპეტაკის დამცველია.

„პროლეტ - მწერლობის“ იერიშებმა ვერ შესძლეს თავის ფესვების გამაგრება ჩვენს მიწა - წყალზე. ქართული თავისუფალი მწერლობის წარსული მდიდარი და მრავალ ფეროვანია. ის ემსახურებოდა ადამიანის ღირსების დაცვას, ეროვნულ კულტურის წარმატებას, საზოგადოებრივ - სოციალურ სამართლიანობის დამყარებას. სხვა და სხვა გზებით საშინელ ქარიშხალთა ქროლვაში ის განაგრძნობს თავის ისტორიულ მისიის შესრულებას. „პროლეტ - მწერლობის“ ნამოღვაწეს არს ქარი წალეკავს და ბრძოლის ქარ - ცეცხლიდან გამოსული შემოქმედების ნაყოფი კი საშვილიშვილოდ დარჩება. „წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო“.

ლეისპირელი



ნარი.

# ბერძანის უმაღლეს სარდლობის სნობები

## ქალაქ სებასტოპოლის ნაზრავები და ცილილი იქმნა

ფიურერის მთავარი ბანაკი. 10 მაისი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

სებასტოპოლის მიდამოებში გერმანული ნაწილები აწარმოებენ მძაფრ თავდაცვითი ბრძოლებს. ქ. სებასტოპოლი გერმანიის უკან დახევასთან დაკავშირებით ჩვენი ნაწილების მიერ დატოვებული იქმნა. გუშინ ფრონტის ამ უბანში ჩვენმა ავიაციამ გაანადგურა მტრის 30 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებული იქმნა მტრის 19 თვითმფრინავი.

ქ. იასის რაიონში, მდინარე სერეტას აღმოსავლეთით და მოლდაუს მარჯვენა მხარეზე ბოლშევიკების ადგილობრივ მნიშვნელობის იერიშები მოგერიებული იქმნენ.

მურმანსკიდან ჩრდილოეთით გერმანულ ავიაციის ძლიერმა შენაერთებმა გაანადგურეს მტრის 3 ჩქარმავალი კატაპულა და ორი სავაჭრო გემი, რომელ-

თა წყალწყვა 2.600 ბრუტოტონას უდრის.

შორეულ ჩრდილოეთში გერმანულ პოზიციებზე თავდასხმების დროს საბჭოთა ავიაციამ 19 თვითმფრინავი დაჰკარგა.

სამხრეთ იტალიის ფრონტზე მოგერიებული იქმნა მტრის იერიშები. ჩვენმა დამზვერავ-მებრძოლთა ჯგუფებმა გაანადგურეს მტრის რამოდენიმე წინააღმდეგობის წერტილი. ჩვენმა ავიაციამ წარმატებით დაბომბა ნეტუნოს ნავთსადგურში მდგომი მტრის გემები. ორი გემი, რომელთა წყალწყვა 5.000 ბრუტოტონას უდრის. ერთი ნაღმოსანა და ორი სადესანტო გემი იმდენად დაზიანებული იქმნენ, რომ მათი ნაწილი შეიძლება დაღუპულად ჩაითვალოს.

დასავლეთ ოლქებზე, ლუქსემბურგზე და საარბრიუკენზე თავდასხმების დროს მტრის ავიაციამ 7 თვითმფრინავი დაჰკარგა. ინგლისის ცალკილ ავიონებმა გასულ დამეს დაბომბეს ბერლინი.

უშინა მას ყუმბარები და გემი 200 გამოქცეულით ჩასძირა. გემზედ მყოფთაგან შოლოდ სამი კაცის გადარჩენა შესძლეს რუმინის ჯარის კაცებმა.

## ნორვეგიაში გადმოსხმის მზადება

სხვადასხვა წყაროთა ცნობის მიხედვით, საბჭოთა მთავრობამ ცნობით მიმართა ინგლისის და ჩრდილო ამერიკის მთავრობებს მისი მოკავშირეთა ჯარების ნორვეგიაში განზრახულ გადასხმაში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ამასწინეთ სტოკოლმის გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ სკანდინავიის ჩრდილოეთში შემოპარული საბჭოთა აგენტები ცდილობენ სამოქალაქო მოსახლეობის შესყიდვას.

## მოწმის ჩვენება

23 აპრილს ამერიკულ გაზეთმა „გლობ ენდ მეილმა“ გამოქვეყნა ვიდეო ჩვენება სენსაციური წერილი. ხეინცმა უკანასკნელი 13 თვე გერმანიაში გაატარა და ჩრდილო-ამერიკაში დაბრუნდა. ხეინცის მოსაზრებებმა, როგორც თანამედროვე გერმანიის მდგომარეობის მკოდნე და მოწმის საზოგადოებაში გამოიწვია საყოველთაო ინტერესი, მაგრამ იმავე დროს მისი დიდი უკმაყოფილო დარჩენ თეთრ სახლში (პრეზიდენტ რუზველტის და მისი მთავრობის სადგომი). აი. ეს „100% ამერიკელი“ რას სწერს გერმანიის შესაიებ და ამის შემდეგ ადვილი ვასაგებია, თუ რატომ არიან მაღალ სფეროებში მისი უკმაყოფილო.

„მოკავშირეებს იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ ისინი გერმანიაზე მარტო საჰაერო თავდასხმებით გაიმარჯვებენ, სწერს ხეინცი. გერმანიის საბოლოო გამარჯვება შეიძლება მხოლოდ დასავლეთიდან ევროპაში შეჭრით, მაგრამ გერმანელები დიდი ხანია გრძნობდნენ ასეთ საშიშროებას და ყოველგვარი ზომები მიიღეს, რომ მტერს სრულ შეიარაღებით დახვდნენ“.

# წითელი ბარკი რუმინეთის სოფლებში

ბუქარესტიდან „ნაოროსელ ცაიტუნგ“-ს შემდეგსა სწერენ: „საბჭოთა ჯარების ქალაქში თუ სოფელში შესვლისთანავე კედლებზე გაკრული განცხადებების საშუალებით მოსახლეობას უბრძანებენ, სურსათი და სხვა საჭირო ნივთების დაუყენებლივ ჩაბარებას. ბუკოვინა ხელახლა საბჭოთა რუსეთის პროვინციად იქმნა გამოცხადებული. აქ არსებული რუმინული კანონები გაუქმებულ იქმნა. ხელახლად დაუბრუნეს ურიებს რუმინელების მიერ ჩამორთმეული სავაჭრო თუ სამრეწველო დაწესებულებები. მამრობით სქესის მოსახლეობას — 16-დან 60 წლამდე — მობილიზაცია მოუხდინეს და საზღვრებისაკენ გაგზავნეს - ან და იძულებით სამუშაოზედ სხვა და სხვა საზოგადოებრივ სამეურნეო ერთეულებში მიავლინეს.

ჩერნოვიცაში განსაკუთრებული სააღყო მდგომარეობა გრძელდება. საღამოს 7 საათიდან დღის 5 საათამდე ქუჩაში გამოსვლა ალკრძალულია. თუ ვინმე ამ დროს ვინმე ვაჭარში დაიჭირეს, იქვე დახვრეტენ. ჯარის შემოსვლიდან საშიდღის შემდეგ აარსებენ გ. პ. უ. ს. ბიუროს და იწყებენ დაკავებულ ქალაქის ან სოფლის წმენდას. ათასობით ასახლებენ მოსახლეობას, განსაკუთრებით მკაცრათ ექცევიან რუმინელოფიცერთა ოჯახებსა და ნათესავებს. მოსახლეობას ართმევენ ტანთაცმელს - საცვლებსა და ფეხსაცმელებს. უკვე მათ მიერ დაპყრობილ მოლდავის ქალაქებში მათ ცნობათა ფურცლების შევსება მოსთხოვეს მოსახლეობას. კომუნისტებსა და მოკომუნისტო ელემენტებს წითელი ცნობათა ფურცლები დაურიგეს. მოსახლეობის დანარჩენს კი ყვითელი. წითელი ფურცლების შემსვებნი ფიქრობდნენ უკეთესი პირობების მოპოებას. საბჭოებმა კი მათ მობილიზაცია უქმნა და წითელი ჯარის ნაწილებში გაამწყესა. ყვითელი ფურცლების შემსვებნი სამუშაოთ გაიწვიეს და რუსეთისაკენ გაგზავნეს. მჭინვარებს მასიური დაჭერები და დახვრეტები.

# მოკლე ცნობები

## ადმირალ კოგოს დაღუპვა

„იპონიის“ შეერთებული ფლოტის მთავარსარდალი ადმირალი კოგო დაიღუპა გმირულად, თავის ჯარის კაცის მოვალეობის აღსრულების ეასს“ — გვამცნობს იპონიის საიმპერატორო უწყება.

ფლოტის მთავარსარდალად დანიშნულია ადმირალი სოემი ტაიოდა.

## „ჩემი არმია“

თუ გადავშლით საბჭოთა პატარა ენციკლოპედიას და მოვნახავთ ასო „ჩ“, ჩვენ იქ შევხვდეთ ამოვიკითხავთ:

„ჩერჩილი, უინსტონი — საბჭოთა კავშირის უდიდესი მტერი, რომელსაც მშრომელთა მასების უდიდესი სიძულვილი აქვს, რუსეთში კონტ - რეკლუციის მომწყობი თეთრ არ-

მიის შემქმნელი“. საბჭოთა ენციკლოპედია ამტკიცებს, რომ ჩერჩილს არ ერთხელ უწოდებია თეთრ არმიისათვის „ჩემი არმია“. ფაქტი ისაა, რომ 1918 ისე, როგორც 1944 წელს რუსეთის ხალხთა სისხლი იღვრება ჩერჩილისა და ინგლისის პლუტოკრატის ინტერესების დასაცავად. ასე, რომ ეხლაც ჩერჩილს შეუძლია წითელ არმიას უწოდოს „თავის არმია“.

## ლტოლვილებს უშუბარებს უზენაე

საბჭოთა ჯარების მოახლოვების შიშით პოლონეთის საზღვრებიდან გამოქცეულთაგან სავსე გემი დნესტრზე რუმინეთის საზღვარს უახლოვდებოდა, საბჭოთა ჯარის არტილერიამ შენიშნა მომავალი გემი, რომლიდანაც აშკარად მოსჩანდნენ ქალები და ბავშვები, და-